



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N4**

ქ. ლანჩხუთი

15. 03. 2018 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ წევრი კახაბერ ასკურავა (ფრაქცია „ ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარის ლელა ჩახვამის განცხადების საფუძველზე), საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბუკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვალერი წულაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ვადაჭკორია, მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის ზედამხედველობის

სამსახურის უფროსი თენგიზ ხელაძე, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომას საპატიო მიზეზით ვერ ესწრება საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე და დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხს წარმოადგენს მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ვადაჭკორია. გარდა ამისა, დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რიგი საკითხები. მან მოუწოდა ბიუროს წევრებს აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

9. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ნაჭყებია/

10. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ხელაძე/

11. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთის საჯარო სკოლისათვის გაიატრაპიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

13. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

14. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

15. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2018 წლის 30 მარტი, 11:00 საათი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია. 2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“,

„ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“. 3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შემდეგ მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გამოთქმულ იქნა რედაქციული სახის შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება არსებითად არ ცვლის მიღებული ნორმატიული აქტის შინაარსს. აქედან გამომდინარე, მართებულია, რომ ეს ცვლილებები ასახულ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულებაში.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3.პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანიამ.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

საქართველო“, ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება განაპირობა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N1 დადგენილების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მომზადებულმა სამართლებრივმა დასკვნამ. სამართლებრივი დასკვნის მოთხოვნით, ზემოაღნიშნულ დადგენილების ტექსტში მოხსენებული სოციალური დახმარების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილი უწყება, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, უნდა გაიწეროს სწორი ფორმულირებით, როგორც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეული.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია. 2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება -

კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ განხორციელდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის შემდეგი სოციალური პროგრამები:

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, რომლის ბიუჯეტი განისაზღვრა 100 000 ლარით. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები და რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დღეში ერთჯერადი კვება. პროგრამით სარგებლობდა ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები 60 ბენეფიციარი და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულებიდან - 38 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 98381,02 ლარი;

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 32 575 ლარით, პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა, რაც აუმჯობესებს დემოგრაფიულ მდგომარეობას. წლის განმავლობაში პროგრამით სარგებლობდა 29 ოჯახი. პროგრამიდან გახარჯულია 32 575 ლარი.

3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა. რომლის ბიუჯეტი განისაზღვრა 41 000 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები და რეგისტრირებული, ხანძრისა და მეწყერისგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დახმარება, ბენეფიციარებზე ბინის ქირის გადახდა. პროგრამით სარგებლობდა 39 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 41 000 ლარი.

4. სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი განისაზღვრა 54300 ლარით. პროგრამის მიზანია სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. პროგრამით სარგებლობდა 80 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 52800 ლარი.

5. მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი განისაზღვრა 5400 ლარით. პროგრამის მიზანია მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა. პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა - იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას (29 მოსწავლე). პროგრამიდან გახარჯულია 5400 ლარი.

6. ცენტრ „იავნანა“-ს თანადაფინანსების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი განისაზღვრა 10000 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ცენტრ „იავნანა“-ში დარეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო-

სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა. პროგრამა ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის და გადასახადები, ასევე დაფინანსდა ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების ღირებულება. პროგრამიდან გახარჯულია 10000 ლარი.

7. ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი განისაზღვრა 37152 ლარით. პროგრამის მიზანია თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა ტრანსპორტირების დაფინანსება ჰემოდიალიზის ჩასატარებლად. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 21 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 37152 ლარი.

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი განისაზღვრა 10 400 ლარით. პროგრამის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა ფინანსური დახმარება. ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ერთჯერადად საშემე მერქნის შესამენად მიიღებენ ფინანსურ დახმარებას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 61 ოჯახი. პროგრამიდან გახარჯულია 10400 ლარი.

9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი განისაზღვრა 23 754 ლარით. პროგრამის მიზანია მოქალაქეთა სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება. გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალურ-ამბულატორიული მომსახურეობა და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება. მათ შორის „ც“ ჰეპატიტის პირველადი კვლევების თანადაფინანსება. პროგრამით სარგებლობდა 103 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 20 713 ლარი.

10. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 138080 ლარით. პროგრამის მიზანია ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა. ამავე პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწია ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში. პროგრამით ისარგებლა 567 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 137350 ლარი.

11. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 20 000 ლარით. პროგრამის მიზანია ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრენინგს, ფსიქოლოგიურ ტრენინგს, მონაწილეობას მხარდაჭერ საინფორმაციო -საგანმანათლებლო ღონისძიებებში, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებში. პროგრამით ისარგებლა კლუბის წევრმა 45 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 20 000 ლარი.

12. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი განისაზღვრა 800 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადი დახმარება. პროგრამიდან გახარჯულია 200 ლარი. წლის განმავლობაში სამსახურის მიერ 1777 განცხადებასა და წერილზე მომზადდა პასუხი, სამსახურის მიერ მომზადდა 245 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, მომზადდა 100 საგარანტიო წერილი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ ასევე განხორციელდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა შემდეგი პროგრამები:

შემოქმედთა წახალისების პროგრამა

2017 წელს სატელევიზიო პროექტ „ნიჭიერში“ მონაწილეობა მიიღო სსიპ ქალაქ ლანჩხუთის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლემ, მარიამ ურუშაძემ. მარიამმა წარმატებით გაიარა პროექტის შესარჩევი ეტაპი და ნახევარფინალი, ხოლო 2017 წლის 30 იანვარს „ნიჭიერი“-ს ფინალურ კონკურსზე წარმატებით გამოვიდა. მარიამი წახალისდა ფულადი ჯილდოთი 1000 ლარის ოდენობით.

2017 წლის 8 მარტს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაქვემდებარებაში არსებულ კულტურის ცენტრის სუფსის განყოფილებაში ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა კონცერტი, სადაც მოწვეული იყო 22 მრავალშვილიანი დედა. თითოეულ მათგანს გადაეცა სიმბოლური საჩუქარი.

2017 წლის 30 მარტს ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაიმართა დედაწმინდის პედაგოგებისადმი მიძღვნილი ღონისძიება. პედაგოგებს გადაეცათ ტკბილეულის სასაჩუქრე პაკეტები.

2017 წლის 16 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე გაიმართა ტრადიციული სახალხო ღონისძიება „ლელო“, სადაც ლანჩხუთის საპატო მოქალაქის წოდება მიენიჭა დავით ასკურავას, ჯემალ დობორჯგინიძეს, ავთანდილ წულამეს და რევაზ როყვას. საპატო მოქალაქეებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

2017 წლის 1 მაისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი ინტელექტუალური კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებული სკოლის წარჩინებულმა მოსწავლეებმა. აღნიშნული კონკურსის ფინალისტებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები (I, II ადგილი) ხოლო კონკურსის გამარჯვებულს თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

2017 წლის 25 მაისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ვიქტორინა „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკაზე. გამარჯვებულ გუნდს სიმბოლური საჩუქრის სახით გადაეცა წიგნი „ვეფხისტყაოსანი“.

2017 წლის 1-ელ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს სარეაბილიტაციო დღის ცენტრ „იავნანა“-ს და ლესის მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს გადაეცათ ტკბილეული.

2017 წლის 11 ივნისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გაიმართა სილამაზის კონკურსი „მის ლანჩხუთი 2017“, რომლის გამარჯვებულს გადაეცა ფასიანი საჩუქარი.

2017 წლის 22 დეკემბერს 500 ლარით წახალისდა სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული ქეთი ჩიკაშუა, რომელმაც 2017 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი დაფინანსება მოიპოვა.

□ ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა

2017 წლის 10 მარტს ქალაქ თბილისში გაიმართა ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცხადებული კონკურსის (ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“) ფინალი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლის გუნდი „ლაბუ“. დაფინანსდა მოსწავლეთა ტრანსპორტირება ქალაქ თბილისში.

2017 წლის 25 მარტს ქალაქ თბილისში „კონგრეს ჰოლში“ გაიმართა სუფსის კულტურის სახლთან არსებულ ანსამბლ „აისი“-ს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კონცერტი. აღნიშნულ კონცერტზე მიწვეულ იქნა ანსამბლი „აისი“. დაფინანსდა ტრანსპორტირება ორი მიკროავტობუსით.

2017 წლის 20 აპრილს შემოქმედის ეპარქიის დაარსებიდან 22 წლისთავის აღსანიშნავად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში ჩატარდა ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „მხედრები“. დაფინანსდა მათი ტრანსპორტირება.

2017 წლის 17 მაისს ქალაქ თბილისში წმ. სამების საკათედრო ტაძარში მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ჩაატარა შეხვედრა „ოჯახის სიმტკიცის დღესთან დაკავშირებით“. აღნიშნულ შეხვედრას დაესწრნენ წარმომადგენლები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან. დაფინანსდა მათი ტრანსპორტირება.

2017 წლის 24 ივნისს ქალაქ ბათუმში გაიმართა „საქართველოს ეტალონი“ მოსწავლის გამოსავლენი კონკურსი. დაფინანსდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან კონკურსზე დამსწრე პირთა ტრანსპორტირება.

2017 წლის 23 ივლისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გაიმართა ტურისტული ფესტივალი. ღონისძიების ორგანიზებისთვის დაფინანსდა ფოტოგრაფის ტრანსპორტირება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

2017 წლის 23-27 ივლისს, გურიის რეგიონში ჩატარდა ტურიზმის ფესტივალი, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში 23 ივლისს ლანჩხუთის, ჩოხატაურის და ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში გაიმართა სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, ხოლო 24, 25, 26, 27 ივლისს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან, მოქალაქეებთან და ტურიზმის სფეროთი დაინტერესებულ პირებთან გაიმართა გურიის რეგიონში ტურიზმის განვითარების პერსპექტივების ფართომასშტაბიანი განხილვა. აღნიშნულ განხილვაში მონაწილეობდნენ წარმომადგენლები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან. დაფინანსდა ტრანსპორტირება ქ. ოზურგეთში.

2008 წლის აგვისტოს ომში, სოფ. შინდისში დაღუპული ლანჩხუთელი გმირების რუსლან წულაძის და ემზარ წილოსანის ხსოვნის საპატივცემულოდ 11 აგვისტოს დაღუპული გმირების ოჯახის წევრები გაემგზავრნენ სოფ. შინდისში დაღუპულთა ხსოვნისადმი პატივის მისაგებად. დაფინანსდა ტრანსპორტირება.

2017 წლის 20 სექტემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შემოქმედში ჩატარდა რეგიონული ფოლკლორული ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „მხედრები“. დაფინანსდა ანსამბლის ტრანსპორტირება.

2017 წლის 16-17 ოქტომბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის N3 საჯარო სკოლის მოსწავლეები იმყოფებოდნენ კახეთში, სოფელ კაჭრეთში საზოგადოებრივ კოლეჯში „აისი“, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში. დაფინანსდა მოსწავლეების ტრანსპორტირება.

□ კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა

2017 წლის 1 მაისს ჩატარდა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი ინტელექტუალური კონკურსი. სამსახურმა დააფინანსა აღნიშნული კონკურსის ჩატარება. სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის N3 საჯარო სკოლამ და საქართველოს მილსადენის კომპანია ხპ განახორციელა საგანმანათლებლო პროექტი „ჩვენ და უცხო ენები“. სამსახურმა დააფინანსა აღნიშნული პროექტი.

□ სოც-კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზების პროგრამა

2017 წლის 16 აპრილს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე გაიმართა ტრადიციული სახალხო ღონისძიება „ლელო“. სამსახურმა უზრუნველყო აღნიშნული ღონისძიების ორგანიზება, ასევე დააფინანსა ლელოს ბურთის შეკერვა და ვიდეოგადაღება.

2017 წლის 11 ივნისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში გაიმართა სილამაზის კონკურსი „მის ლანჩხუთი 2017“. სამსახურმა უზრუნველყო აღნიშნული ღონისძიების ორგანიზება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** საკრებულოს წევრებს მოუწოდა, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად და წარმოდგენილი ანგარიში ბიუროს მიერ მიღებულ იქნას ცნობად.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: . ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას გააცნო მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ნაჭყებამ**. მან აღნიშნა, რომ შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას წარმატავს ძირითადი ამოცანებიდან, ფუნქციებიდან გამომდინარე უფლებამოსილებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით. სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“. შემოწმებას დაექვემდებარა 01.07.2013 წლიდან 01.01.2017 წლამდე პერიოდი. შემოწმებით გამოვლინდა რიგი დარღვევები. კერძოდ: არ არის სრულყოფილი ბენეფიციართა აღრიცხვიანობა. რიგ შემთხვევებში არ არის დაწერილი ბრძანება ბენეფიციართა გარდაცვალებისა და მის მაგიერ აყვანილი პიროვნებების შესახებ. 2014 წლის დეკემბრის თვეში ტენდერი დროულად არ იქნა გამოცხადებული, რამაც გამოიწვია 2015 წლის იანვრის თვეში ტენდერის გარეშე პროდუქტების შეძენა, რათა არ შეფერხებულიყო ბენეფიციართა კვება.

იანვრის თვეში კვების თანხა არ აქვთ გადარიცხული, როცა ნაშთი თვის ბოლოს 4668 ლარი ჰქონდათ. ნოემბრის თვეში ი/მეწარმე „თ. თედორაძი“-დან ხელშეკრულება #40 და #40ა-ს საფუძველზე 470 ლარის ნაცვლად, ჩარიცხული აქვთ 486,60 ლარი 16.60 ლარით მეტი, ამის საფუძველზე გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება #40-ბ 16,60 ლარზე, მაგრამ აღნიშნულ მომსახურებაზე არ აქვთ წარმოდგენილი ს/ზედნადები. ბენეფიციართათვის აპრილის თვეში საადგილო საჩუქრები 370 ლარის და დეკემბრის თვეში 1807 ლარის საახალწლო საჩუქრები აქვთ გაცემული, მაგრამ რა დასახელების და რაოდენობის გადაეცა თითოეულ ბენეფიციარს, არსად ფიქსირდება. ნოემბრის ბოლოს სასადილოს ნაშთი 8672 ლარი ჰქონდა, რატომ მოითხოვეს დეკემბრის თვეში 6770 ლარი გაურკვეველია, რამაც გამოიწვია წლის ბოლოს საკასო ნაშთის 4226 ლარით გაზრდა. გაურკვეველია, რა მიზეზით არ მოხდა 2015 წლის მარტის თვეში საშემოსავლო დეკლარაციის წარდგენა, რამაც გამოიწვია ორგანზაციის 83,17 ლარით დაჯარიმება, სექტემბრის თვეში კი წარდგენილი აქვთ ნულოვანი დეკლარაცია.

სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონალური სამმართველოს მიერ 2015 წელს გაცემული რეკომენდაციის შეუსრულებლობის გამო, რომელიც ითვალისწინებდა აღნიშნული სასადილოს სამზარეულო ოთახის სტანდრტებთან მიახლოებას, ა(ა)იპ „უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ აპრილის თვეში დაჯარიმებულ იქნა 400 ლარით. საკითხი მოგვარდა 2015 წლის მაისის თვეში.

შემოწმებული იქნა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი“. შემოწმებას დაექვემდებარა 2013 წლის 1 ივლისიდან 2017 წლის 1 მარტამდე პერიოდი. 2014 წელს 952 ბავშვის კვებაზე დაგეგმილი ჰქონდათ 320 164 ლარი, ფაქტიურად კი 196 206 ლარი დაიხარჯა, 2015 წელს 1000 ბავშვის კვებისათვის 387 079 ლარი დაიგეგმა, ე.ი წინა წლის შესრულებაზე 190 873 ლარით მეტი, ფაქტიურად კი 240 204 ლარი დაიხარჯა, გეგმიურზე 146 875 ლარით ნაკლები,

აღნიშნული თანხიდან შიდა მუხლობრივი ცვლილების საფუძველზე 133 312 ლარი გადატანილი იქნა სახელფასო მუხლში, რაც გამოყენებული იქნა დანამატების გაცემისათვის, 11 376 ლარი გადატანილი იქნა სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლში, საიდანაც 10 000 ლარი 26.10.2015 წელს ბრ.#654 საფუძველზე სესხის სახით გადაცემული იქნა ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „გურია“-სათვის, ხელშეკრულების თანახმად სესხი წლის შიგნით უნდა დაბრუნებულიყო, რაც შემოწმების პერიოდისათვის არ იყო განხორციელებული. პირველადი საბუთების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევაში ს/ზედნადების წარმოდგენის გარეშე ხდებოდა მომსახურეობის თანხების ჩარიცხვა. კერძოდ, ხელშეკრულება #119, რომელიც შედგენილია 28.05.2015 წელს შპს, „სუპერ“-თან 613 ლარზე არ არის ს/ზედნადები ატვირთული ტენდერებისა და გამარტივებული შესყიდვების ელექტრონულ სააგენტოს საიტზე. არის შემთხვევები, როდესაც შესრულებული სამუშაოს მოცულობა საკმაოდ დიდია, ამ დროს კი ხელშეკრულების გაფორმებისა და შესრულებული სამუშაოს თარიღები ერთი და იგივეა, რაც ეჭვის საფუძველს იძლევა. ხშირ შემთხვევებში ხელშეკრულებები არასწორად და უხარისხოდ არის ატვირთული ტენდერებისა და გამარტივებული შესყიდვების ელექტრონული სააგენტოს საიტზე.

შემოწმებულია ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“ შემოწმებას დაექვემდებარა 2015 წლის 1 ივლისიდან 2017 წლის 1 ივნისამდე პერიოდი. პირველადი საბუთების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს არასწორად, უხარისხოდ, დაგვიანებით ან არასრულყოფილად საბუთების ატვირთვას ტენდერებისა და გამარტივებული შესყიდვების ელექტრონულ სააგენტოს საიტზე. მიღება- ჩაბარების აქტში, რომელიც 06.07.2015 წელს არის შედგენილი, აღნიშნულია, რომ 04.07.2015 წელს განხორციელდა ბალახის ჰოკეის გუნდის ტრანსპორტირება, მომსახურეობის თანხამ შეადგინა 270 ლარი, ხოლო ელექტრონულ საიტზე ატვირთულია ინვოისი 05.07.2015 წელს 135 ლარზე.

ხშირ შემთხვევებში მივლინების შედგენისას ბრძანებები დაწერილია არასწორად, უხარისხოდ, არ არის დანომრილი. შეცდომებია გაანგარიშებაში. არის შემთხვევები, როცა ორ პიროვნებაზე ერთი სამივლინებო მოწმობაა შევსებული, ორივე მივლინების თანხაც ერთ პიროვნებას აქვს ჩარიცხული, რაც დაუშვებელია.

30.12.2015წელს საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ჩამოწერილი იქნა 4010 ლარის სხვადასხვა ინვენტარი, რაზედაც არ არის კომისიის თავჯდომარის ხელმოწერა.

შემოწმებული იქნა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ტექ-სერვისი“. შემოწმებას დაექვემდებარა 2015 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდი. პირველადი საბუთების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ ადგილი აქვს გეგმიურ და დარიცხულ ხელფასებს შორის თვეების მიხედვით სხვაობებს, ასევე სხვადასხვა მუხლებში გადანაცვლებებს და გადახარჯვას, რაც წლის ბოლოს არის გასწორებული. რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს არასწორად, უხარისხოდ ან არასრულყოფილად საბუთების ატვირთვას ტენდერებისა და გამარტივებული შესყიდვების ელექტრონული სააგენტოს საიტზე.

ხშირ შემთხვევაში ხელშეკრულებები არასწორად და უხარისხოდ არის შედგენილი. ხელშეკრულება #83 შედგენილია ინ/მეწარმე „რ. ხოფერია“-სთან 88 ლარზე. აღნიშნულ მომსახურეობაზე ს/ზედნადები წარმოდგენილია 136 ლარზე, თანხაც 136 ლარია გადახდილი, მიღება-ჩაბარების აქტში კი 83 ლარია დაფიქსირებული. რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს ხელშეკრულების გაფორმებამდე ს/ზედნადების წარმოდგენის და მომსახურეობის თანხების წინსწრებით ჩარიცხვის ფაქტებს.

2015 წლის დეკემბერში შექმნილი იქნა სხვადასხვა საახლწლო აქსესუარები 4054 ლარის, რომელიც არ არის აღიარებული, როგორც მატერიალური ფასეულობა ინვენტარის სახით, იმავე წელს ისე ჩამოიწერა 35087 ლარის მატერიალური მარაგები, რომ არ განხორციელებულა მათი საწყობში მიღებისა და შემდგომ ექსპლოატაციაში გადაცემის

დამადასტურებელი დოკუმენტების შექმნა, მყისიერად მოხდა მისი ჩამოწერა, რაც არასწორია. არ ხდება შეძენილი ინვეტნარის პიროვნებებზე ჩაბარება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რიგ შემთხვევებში განცხადებებისა და ცხელ ხაზზე დაფიქსირებული მონაცემების გარეშე ხდება გარე განათებისა და წყალგაყვანილობის სისტემის სამუშაოების ჩატარება.

დარღვევებია ტრანსპორტის მომსახურების საქმეში, კერძოდ საწვავის ჩამოწერისა და ტრანსპორტის მომსახურებისას ავტომობილის საგზურში არა არის აღნიშნული მგზავრობის მიზნობრიობა. გასვლისა და დანიშნულების ადგილი, კილომეტრობა. მიმოსვლაზე არ არის ბრძანებები დაწერილი რაც ქმნის სერიოზულ წინა პირობას მომსახურების თანხის არადანიშნულებისამებრ გამოყენების.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მძიმე ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად მწელს 10 057 ლარით გაიზარდა ტრანსპორტის ხარჯი, ხოლო არასაშტატო მომსახურეთა სახელფასო ფონდის შემცირების მიუხედავად, თანამშრომელთა შემცირება არ განხორციელებულა, პირიქით სექტემბრის თვეში ორი პიროვნება დამატებით იქნა აყვანილი. სწორედ ასეთი მენეჯმენტის, გამოყოფილი დაფინანსების არაეფექტური და უყარათო ხარჯვის შედეგია, რომ 9 თვეში იქნა ამოწურული წლის ბიუჯეტი.

შიდა აუდიტის სამსახურმა დასკვნაში მუნიციპალიტეტის მერის წინაშე დასვა საკითხი ა(ა)იპ „ლანჩხუთის ტექ-სერისი“-ს დირექტორის სასტიკი საყვედურის გამოცხადების შესახებ. მასვე დაევალა შესაბამისი ზომების გატარება ორგანიზაციის ბუღალტრისა და შესყიდვების სპეციალიტის მიმართ.

ა(ა)იპ ლანჩხუთი მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „გურია“-ში 2015 წელს შიდა აუდიტორული შემოწმებით აღმოჩენილი დარღვევების და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით გადამოწმდა აღნიშნული ორგანიზაცია.

საანგარიშო შემოწმების პერიოდში გამოვლენილი დარღვევები კერძოდ, უკანონოდ ჩარიცხული თანხები, რომელიც ფინანსისტ ა.დობორჯგინიძის მიერ იქნა განხორციელებული მის პირად ანგარიშზე მთლიანად იქნა დაფარული. აღნიშნულ დარღვევებზე მასალები რეაგირებისათვის გადაცემულია პროკურატურაში. მიუხედავად კლუბის ხელმძღვანელობის მიერ გატარებული რიგი ღონისძიებებისა, კვლავ მოუგვარებელია ძირეული საკითხები. ბიუჯეტის შესახებ არსებული კანონით, კლუბი უნდა ხელმძღვანელობდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით, რაც უგულველყოფილია ამ ორგანიზაციაში.

2017 წლის 01 იანვრისათვის კლუბს 671 047 ლარის ფინანსური ვალდებულება გააჩნია, მათ შორის 348 754 ლარი სახელფასო დავალიანებას შეადგენს. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე შრომით ხელშეკრულებას აფორმებდა, ასევე ახდენდა მათ პრემირებას. მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულება 211 805 ლარს შეადგენს, კლუბს ასევე გააჩნია 24 000 ლარის მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულება. ეს ვალდებულება აღებულია მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ამ სესხების წლის შიგნით დაბრუნება, რაც კლუბის მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო ვერ განხორციელდა. აღნიშნული თანხების დაბრუნება პრაქტიკულად შეუძლებელია.

2017 წლის 31 იანვრის ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდსა“ და ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს კლუბის დაფინანსებას 700 000 ლარით, საიდანაც შრომის ანაზღაურება 513 000 ლარს შეადგენს, სხვა დაფინანსების წყარო კლუბს არ გააჩნია. კლუბში დღეს არსებული შტატების და სარგოების გათვალისწინებით ფონდის მიერ გამოყოფილი თანხა არ არის საკმარისი მათ სრულად დასაფინანსებლად, ახალი ვალდებულებების აღება კი ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე დაუშვებელია. კლუბის ხელმძღვანელობამ ქმედითი ზომები უნდა გაატაროს, რათა მოხდეს კლუბში

არსებული საშტატო განრიგის მოწესრიგება და არ დაუშვან კრედიტორული დავალიანების შემდეგში ზრდა.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილია 27(ოცდაშვიდი) სხვადასხვა სახის განცხადება, რაზედაც მოხდენილია შესაბამისი რეაგირება.

საკრებულოს წევრმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ები, სადაც გამოვლინდა სერიოზული სამართალდარღვევები. ასევე სახელწიფო აუდიტის მიერ დაიდო უარყოფითი აუდიტორული დასკვნა. იგი დაინტერესდა, მოჰყვა თუ არა რეაგირება აღნიშნულ კრიტიკულ აუდიტორულ დასკვნებს.

მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ნაჭყებამ** განმარტა, რომ ისეთი ტიპის სერიოზული დარღვევა, როგორცაა არასწორი ხელშეკრულებების გაფორმება, დაფიქსირდა მხოლოდ ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ში, სხვა ა(ა)იპ-ებში იყო მცირე ხარვეზები, რომელთა გარკვეული ნაწილი უკვე გამოსწორებულია.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** მოიყვანა გრიგოლეთის საფეხბურთო ბაზის მაგალითი, რომლის აუდიტორული შემოწმების შემდეგ გამოიკვეთა კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. კერძოდ, ახალ გაკეთებულ ობიექტზე კედლები და სახურავი დაზიანებულია და ფაქტობრივად ხელმეორედ საჭიროებს საამშენებლო სამუშაოების შესრულებას.

მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ნაჭყებამ** განმარტა, რომ გრიგოლეთის ბაზაზე გამოკვეთილი დარღვევები არ შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში აუდიტორული დასკვნები გადაიგზავნებოდა პროკურატურაში. საუბარია მშენებლობის პროცესში დაშვებულ ხარვეზებზე, რომელსაც ჩაუტარდება შესაბამისი მონიტორინგი და სამუშაოს შემსრულებელ კომპანიას მიეცემა კონკრეტული ვადა, რათა დაშვებული ხარვეზები გამოსასწოროს.

გამგებლის პირველმა მოადგილემ, **გიორგი ფაცურიამ** აღნიშნა, რომ სამუშაოების შემსრულებელ კომპანიას გაეგზავნება იმ ხარვეზების ჩამონათვალი, რაც კომპანიამ სამუშაოების შესრულების დროს დაუშვა და დაუწესდება კონკრეტული დრო მათ გამოსასწორებლად.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** საკრებულოს წევრებს მოუწოდა, მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად და წარმოდგენილი ანგარიში ბიუროს მიერ მიღებულ იქნას ცნობად.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.**

დღის წესრიგის მეათე საკითხზე: **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში**

სხდომას გააცნო მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა, **თენგიზ ხელაძემ**. მან აღნიშნა, რომ ზედამხედველობის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს ძირითადი ამოცანებიდან, ფუნქციებიდან გამომდინარე უფლებამოსილებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით.

ზედამხედველობის სამსახურმა განახორციელა ზედამხედველობა და კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა სახის არქიტექტურულ-სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე, დადგენილი ორგანიზაციულ სამართლებრივი წესრიგის დაცვის მიმართებით. ამ მიმართებით დაწერილი იქნა 6 ჯარიმა. ჯარიმის საერთო რაოდენობამ შეადგინა 1200 ლარი. ასევე სამსახურის მიერ ექსპლუატაციაში მიღებული იქნა 13 ობიექტი. სამსახურის მიერ განხორციელდა ზედამხედველობა და მონიტორინგი 2017 წლის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით შესრულებულ ობიექტებზე, შესწავლილი იქნა წარმოქმნილი პრობლემები და დაევალა შემსრულებლებს მათი გამოსწორება. სამსახურის მიერ ადგილზე გასვლის და შესაბამისი რეესტრის შედგენის საფუძველზე გაცემულია თანხმობა სამასალე მორების ტრანსპორტირებაზე და საშეშე ცნობებზე. სამსახურის მიერ გარემოს ეროვნული სააგენტოდან მოწოდებული კოორდინატების მიხედვით ადგილზე შესწავლილი იქნა ქვიშა-ლორღის, ტუფობრეჩიების და ცელოითის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობა, ნებისმიერი დასკვნის შემთხვევაში მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნა მოსახლეობის ინტერესები.

ხორციელდება სისტემატური კონტროლი პოლიციის თანამშრომლებთან ერთად ქალაქში გარე ვაჭრობის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების დაცვის შესრულებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარემ, **გიორგი მორჩილაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე სკვერში ახალ დაგებული ფილების გარკვეული ნაწილი უკვე ამოვარდნილია.

მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა, **თენგიზ ხელაძემ** განმარტა, რომ მრავალმილიონიანი პროექტების განხორციელებაში რაღაც ხარვეზების არსებობა ბუნებრივია, მისი თქმით, ზედმიწევნით უხარვეზოდ მასშტაბური სამუშაოების შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელია. მისი ინფორმაციით, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურმა მოამზადა წერილი, რომელიც გაეგზავნება შემსრულებელ კომპანიას და დაევალება აღნიშნული ხარვეზის დროული გამოსწორება.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ ახალ შესრულებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს დროის ისეთ მცირე ინტერვალში ამ დოზის ხარვაზი არ უნდა ჰქონდეს, თუ იგი ხარისხიანად არის შესრულებული.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ მისი ხელისუფლების ყოფნის პერიოდში ინფრასტრუქტურული სამუშაოები ბევრად ხარისხიანად ხორციელდებოდა. მან მოიყვანა სამუსიკო სკოლის შენობის მაგალითი, რომელიც დღესაც უნაკლოდ გამოიყურება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მოუწოდა დეპუტატებს გაწევრიანდნენ კომისიაში, რომელიც იბარებს ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, რათა ყველამ ერთად გააკონტროლოს ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების ხარისხიანობა.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში კატასტროფული მდგომარეობაა გარე ვაჭრობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გარე მოვაჭრეებს უნდა შესთავაზოს ალტერნატიული ფართი, სადაც სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით მოხდება პროდუქციის გაყიდვა. ასევე, დეპუტატის თქმით მოსაწესრიგებელია ქალაქში პარკირების პრობლემა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარემ, **გიორგი მორჩილაძემ** აღნიშნა, რომ ყოფილი უნივერსიტეტის მეორე სართულის ფასადი მნიშვნელოვნად აუშნოებს ქალაქის იერსახეს. მისი თქმით, ფართის მესაკუთრეებთან უნდა შედგეს მოლაპარაკება, რათა მოწესრიგებულ იქნას აღნიშნული პრობლემა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მოხდა ფართების მესაკუთრეებთან შეხვედრა, სადაც გადაწყდა, რომ უნივერსიტეტის მეორე სართულის ფასადი ერთნაირად შეიღებება და მოწესრიგდება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** საკრებულოს წევრებს მოუწოდა, მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად და წარმოდგენილი ანგარიში ბიუროს მიერ მიღებულ იქნას ცნობად.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე: „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთის საჯარო სკოლისათვის გია ტრაპაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთის საჯარო სკოლისათვის გია ტრაპაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება-კონსერვატორები“, „ქართული ოცნება-მრეწველები“, „ქართული ოცნება-მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე: . „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მომართა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ქალბატონმა ეკატერინე სისაურმა 2018 წლის 16 თებერვლის N5/9184 წერილით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. N126-ში არსებული შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე მდებარე ორი ერთეული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდები: N27.06.51.005.01.111 და N27.06.51.005.01.112)) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კაპიტალში შეტანის მიზნით.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება-კონსერვატორები“, „ქართული ოცნება-მრეწველები“, „ქართული ოცნება-მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მისი თქმით, თუ იმ ობიექტების რეალიზაცია მოხდება, რომელიც საპრივატიზაციო ნუსხით არის წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოვა 1 348 126 ლარი. ასევე წარმოდგენილია მესამე დანართის სახით მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული საპრივატიზაციო ავტომობილების ნუსხა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, ქართული ოცნება-კონსერვატორები“, „ქართული ოცნება-მრეწველები“, „ქართული ოცნება-მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ვადაჭკორია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 27/12/2017 სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.112.016320) შევიდეს ცვლილება, კერძოდ, დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობებში“ „სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის“ „წამყვანი სპეციალისტი“ შეიცვალოს „მთავარი სპეციალისტი“ და სამსახურის მთავარი სპეციალისტის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 4 (ოთხი) ერთულით.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა:

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს მოხდა რეორგანიზაცია, რის შედეგად ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა და ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო“ სკოლა გაერთიანდა და ერთ ა(ა)იპ -ად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტულ ცენტრად“ ჩამოყალიბდა. ამჟამად შემოვიდა ა(ა)იპ „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ ყოფილი დირექტორის, დურმიშხან ჩხაიძის წერილი, რომელშიც ითხოვს „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“

ცალკე კლუბად დაფუძნებას. კლუბი დაკომპლექტდება „ოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ სატურნირო განაცხადში წარდგენილი სპორტსმენებით და დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას ეროვნულ ჩემპიონატში. მისი თქმით, ვიდრე მომზადდება მერიის იურიდიული სამსახურის და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურების დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მოხდება მსჯელობა საკრებულოში, მანამდე მას აინტერესებს ბიუროს წევრების მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო“ სკოლა არის ერთ-ერთი წარმატებული. 12 სპორტსმენი არის როგორც ასაკობრივი, ასევე ძირითადი ეროვნული ნაკრების წევრი. დაფინანსება მოხდება იმ ასიგნების ფარგლებში, რა სახსრებიც აქამდე ჰქონდა ა(ა)იპ-ს. მისი ხელმძღვანელობისგან არის დაპირება, რომ შედეგი იქნება უფრო უკეთესი, აქედან გამომდინარე, იგი მიესალმება აღნიშნულ ინიციატივას, რადგან ასეთ წარმატებულ სკოლას უნდა მიეცეს თვითგანვითარების საშუალება.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, **ბესიკ კუპრაძემ** აღნიშნა, რომ „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო“ სკოლა მართლაც წარმატებულია. თუკი აღნიშნული ცვლილება უფრო მეტ შედეგს მოიტანს სკოლისთვის, იგი მხარს დაუჭერს ცალკე კლუბად დაფუძნებას.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია“ ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ მხარს დაუჭერს აღნიშნულ საკითხს.

ფრაქციის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი აღნიშნულ საკითხს.


საკრებულოს წევრმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში არ ფუნქციონირებს სამშობიარო (რეანიმაციული განყოფილების არ არსებობის გამო) და ორსული ქალებს გადაყვანა ოზურგეთში ხდება. თუკი არის გადაუდებელი აუცილებლობა, ამ შემთხვევაში მშობიარობა ხორცილდება ავერსის კლინიკაში, რის შემდეგაც დედა და ახალშობილი გადაჰყავთ ოზურგეთში. მისი თქმით, ორსული ქალებების მშობიარობა უნდა მოხდეს ადგილზე, გარდა გართულებული შემთხვევებისა, რომელზეც შესაბამის დასკვნას გააკეთებს კვალიფიციური ექიმ-გინეკოლოგი.

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **გიორგი ფაცურიამ** აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება საკრებულოს წევრის მიერ გაჟღერებულ აზრს, რომ სამშობიარო ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში აუცილებლად უნდა არსებობდეს. მასთან ერთად უახლოეს დღეებში მოამზადებს წერილს რომელიც გადაეგზავნება ჯანდაცვის სამინისტროს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიმ აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით ლანჩხუთში სამშობიაროს გახსნასთან დაკავშირებით აქტიურად მუშაობს ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი ნინო წილოსანი. მან მიმართა კოლეგებს კომუნიკაცია მოხდეს დეპუტატის ბიუროსთან, რათა პრობლემა ერთობლივი ძალისხმევით და ურთიერთჩართულობით გადაწყდეს.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო